

Question 1

Time left 0:44:18

Not yet answered

Marked out of 0.50

დაასრულეთ განმარტება: ელექტროსტატიკური ველი ეწოდება ველს, რომელიც ----- .

Select one:

- a. შექმნილია მოძრავი ელექტრული მუხტით
- b. არსებობს ელექტრული დენის გარშემო
- c. არსებობს მაგნიტური ისარის გარშემო
- d. შექმნილია უძრავი ელექტრული მუხტით

Question 2

Not yet answered

Marked out of 0.50

დაასრულეთ განმარტება: ელექტროსტატიკა შეისწავლის ათვლის ინერციული სისტემის მიმართ ----- .

Select one:

- a. უძრავი ნაწილაკების კანონებს
- b. ელექტრული მუხტების თვისებებს
- c. მოძრავი ელექტრული მუხტების თვისებებს
- d. უძრავი ელექტრული მუხტების თვისებებს და მათი ურთიერთქმედების კანონებს

Question 3

Not yet answered

Marked out of 0.50

ჭეშმარიტია თუ მცდარი: "იზოლირებულ სისტემაში დამუხტული ნაწილაკები წარმოიქმნება წყვილ-წყვილად სიდიდით ტოლი და საპირისპირო ნიშნის მუხტებით, ან ორი საპირისპირო ნიშნის მუხტი იქცევა ნეიტრალურ ნაწილაკად ისე, რომ სისტემის სრული მუხტი არ იცვლება."

Select one:

- True
- False

Question 4

Not yet answered

Marked out of 0.50

შეუსაბამეთ სიმბოლოები და სიდიდეები ერთმანეთს:

N	Choose...
φ	Choose...
q	Choose...
\vec{E}	Choose...

Question 5

Not yet answered

Marked out of 0.50

დაასრულეთ განმარტება: ელექტრული ველი გრაფიკულად გამოისახება ----- .

Select one:

- a. პარალელური წირებით
- b. ველის წირებით
- c. კონცენტრული წირებით
- d. ელექტრული ველის დაძაბულობის ძალწირებით

Question 6

Not yet answered

Marked out of 0.50

დაასრულეთ განმარტება: ერთგვაროვანი ველი არის ისეთი ველი, რომლის ყოველ წერტილში დაძაბულობას ----- .

Select one:

- a. სხვადასხვა მიმართულება და ერთნაირი სიდიდე
- b. აქვს ერთი და იგივე სიდიდე და მიმართულება
- c. სხვადასხვა სიდიდე და სხვადასხვა მიმართულება
- d. სხვადასხვა სიდიდე და ერთნაირი მიმართულება

Question 7

Not yet answered

Marked out of 0.50

შეუსაბამეთ მოცემულ ფიზიკურ სიდიდეებს მათი ერთეულები:

პოტენციალთა სხვაობა

Choose...

ელექტრული ძალა

Choose...

ელექტრული ველის დაძაბულობა

Choose...

ელექტრული მუხტი

Choose...

Question 8

Not yet answered

Marked out of 0.50

შეუსაბამეთ ერთმანეთს განსაზღვრებები:

ფიზიკური სიდიდე

Choose...

გამზომი ხელსაწყო

Choose...

ფიზიკური მოვლენა

Choose...

ფიზიკური სიდიდის ერთეული

Choose...

Question 9

Not yet answered

Marked out of 0.50

ელექტრული ველის პოტენციალი არის ----- სიდიდე.

Select one:

- a. სკალარული
- b. ვექტორული
- c. ტენზორული
- d. კომპლექსური

Question 10

Not yet answered

Marked out of 0.50

ელექტრული დიპოლი ეწოდება სისტემას, რომელიც შედგება:

Select one:

- a. სხვადასხვა სიდიდის მქონე ორი მუხტისგან
- b. ერთნაირი ნიშნის მქონე ორი მუხტისგან
- c. სიდიდით ტოლი და სხვადასხვა ნიშნის მქონე ორი მუხტისგან
- d. სიდიდით ტოლი და ერთნაირი ნიშნის მქონე ორი მუხტისგან

Question 11

Not yet answered

Marked out of 0.50

ჭეშმარიტია თუ მცდარი: მუხტებს, რომლებიც ერთგვაროვანი დიელექტრიკის ზედაპირზე წარმოიქმნება პოლარიზაციის დროს, ბმული მუხტები ეწოდება.

Select one:

- True
 False

Question 12

Not yet answered

Marked out of 0.50

შეუსაბამეთ ერთმანეთს:

ვოლტმეტრი

Choose...

ელექტროტევადობა

Choose...

ფარადი

Choose...

Question 13

Not yet answered

Marked out of 0.50

ჭეშმარიტია თუ მცდარი: „ კონდენსატორი ენოდება დიელექტრიკით განცალკევებული ორი გამტარის ერთობლიობას.“

Select one:

- True
- False

Question 14

Not yet answered

Marked out of 0.50

დენის ძალა ენოდება ფიზიკურ სიდიდეს, რომელიც რიცხობრივად ტოლია ----- გავლილი ელექტრობის რაოდენობის.

Select one:

- a. გამტარის განივკვეთში
- b. დროის ერთეულში გამტარის განივკვეთში
- c. წრედის უბანში
- d. წრედში

Question 15

Not yet answered

Marked out of 0.50

რომელი დამუხტული ნაწილაკების მიმართულ მოძრაობას წარმოადგენს ელექტრული დენი ლითონებში:

Select one:

- a. უარყოფითი იონების
- b. ელექტრონების
- c. დადებითი იონების
- d. პროტონების

Question 16

Not yet answered

Marked out of 0.50

ჭეშმარიტია თუ მცდარი: ელექტრომაგნიტური ძალა რიცხობრივად უდრის იმ მუშაობას, რომელსაც ასრულებენ გარე ძალები შეკრულ კონტურში ერთეულოვანი დადებითი მუხტის გადაადგილების დროს.

Select one:

- True
- False

Question 17

Not yet answered

Marked out of 1.00

ერთნაირ ნიშნის ელექტრული მუხტების ელექტროსტატიკური ურთიერთქმედების ძალა:

Select one:

- a. $\vec{F} \propto 0$
- b. $\vec{F} \propto \infty$
- c. $\vec{F} \propto 0$
- d. $\vec{F} \propto 0$

Question 18

Not yet answered

Marked out of 1.00

დიელექტრიკში მუხტებს შორის ურთიერთქმედების ძალა ϵ -ჯერ მცირდება.

Select one:

- True
- False

Question 19

Not yet answered

Marked out of 1.00

უსასრულოდ გრძელ, სხვადასხვა ნიშნის მუხტის მქონე ორ პარალელურ ფირფიტას შორის ერთგვაროვანი ელექტრული ველის დალწირები:

Select one:

- a. პარალელურია ფირფიტების ზედაპირის
- b. ურთიერთმართობულია
- c. ადგენს მახვილ კუთხეს ფირფიტების ზედაპირთან
- d. ურთიერთპარალელურია და მართობულია ფირფიტების ზედაპირის

Question 20

Not yet answered

Marked out of 1.00

ჭეშმარიტია თუ მცდარი: თუ ჩაკეტილი ზედაპირის შიგნით დადებითი და უარყოფითი მუხტების რაოდენობა თანაბარია, მაშინ მათი ალგებრული ჯამი განსხვავებულია ნულისაგან $\sum q_i \neq 0$.

Select one:

- True
- False

Question 21

Not yet answered

Marked out of 1.00

შეუსაბამეთ ფიზიკური სიდიდეების გამოსათვლელ ფორმულებს დასახელებები:

$$\vec{E} = -grad\varphi$$

$$\varphi = \frac{q}{4\pi\epsilon_0 r}$$

$$A = q(\varphi_1 - \varphi_2)$$

Question 22

Not yet answered

Marked out of 1.00

ელექტრულ ველში \vec{F} ძალის მიერ q მუხტის უსასრულოდ მცირე $d\vec{l}$ გადაადგილებაზე შესრულებული მუშაობა გამოისახება ფორმულით (მონიშნეთ 2 პასუხი):

Select one or more:

- a. $dA = \frac{dl \cdot \cos\alpha}{E \cdot q}$
- b. $dA = \frac{E \cdot q}{dl \cdot \cos\alpha}$
- c. $dA = \frac{F}{dl \cdot \cos\alpha}$
- d. $dA = q \cdot E \cdot dl \cdot \cos\alpha$
- e. $dA = F \cdot dl \cdot \cos\alpha$

Question 23

Not yet answered

Marked out of 1.00

იზოტროპულ დიელექტრიკებში პოლარიზაციის ვექტორი ($S I$ სისტემაში) ტოლია (χ დიელექტრიკული ამთვისებლობა) :

Select one:

- a. $\vec{P} = \chi \epsilon_0 E$
- b. $\vec{P} = \chi E$
- c. $\vec{P} = \chi \vec{E}$
- d. $\vec{P} = \chi \epsilon_0 \vec{E}$

Question 24

Not yet answered

Marked out of 1.00

პოლარიზაციის ვექტორის გამოსათვლელ ფორმულაში $\vec{P} = \frac{\sum_{i=1}^n \vec{P}_i}{\Delta V}$ გამოსახულება $\sum_{i=1}^n \vec{P}_i$

წარმოადგენს:

Select one:

- a. პოლარიზაციის კოეფიციენტს
- b. დიპოლური მომენტების ვექტორულ ჯამს ΔV მოცულობაში
- c. დიპოლურ მომენტს
- d. ნივთიერების დიელექტრიკულ მუდმივას

Question 25

Not yet answered

Marked out of 1.00

მოცემულ სიმბოლოებს შეუსაბამეთ თავიანთი დასახელებები:

φ	Choose...
\vec{E}	Choose...
N	Choose...
C	Choose...

Question 26

Not yet answered

Marked out of 1.00

პარალელურად შეერთებული ორი კონდენსატორისაგან შედგენილი სისტემის ელექტროტევადობა გამოითვლება ფორმულით:

Select one:

- a. $C = C_1 + C_2$
- b. $C = \frac{C_1}{C_2}$
- c. $C = C_1 \cdot C_2$
- d. $C = \sqrt{C_1 \cdot C_2}$

Question 27

Not yet answered

Marked out of 1.00

შეუსაბამეთ ფიზიკურ სიდიდეებს მათი გამზომი ხელსაწყოები:

ძაბვა	<input type="text" value="Choose..."/>
წნევა	<input type="text" value="Choose..."/>
დენის ძალა	<input type="text" value="Choose..."/>
წინაღობა	<input type="text" value="Choose..."/>

Question 28

Not yet answered

Marked out of 1.00

ერთეულთა (SI) საერთაშორისო სისტემაში ძაბვის ერთეული არის:

Select one:

- a. ამპერი
- b. ომი
- c. კულონი
- d. ვოლტი

Question 29

Not yet answered

Marked out of 2.00

ჩაკეტილი ზედაპირის შიგნით მოთავსებული წერტილოვანი მუხტის სიდიდეა $1 \cdot 10^{-9}$ კ. ელექტრული ველის ნაკადის სიდიდე გაიზარდა m -ჯერ, როცა ზედაპირის შიგნით მოთავსეს კიდევ ორი მუხტი, რომელთა სიდიდეებია $25 \cdot 10^{-9}$ კ და $-16 \cdot 10^{-9}$ კ. განსაზღვრეთ m - ის მნიშვნელობა და ჩაწერეთ მონაცემთა ველში (მაგ.1,234)

Answer:

Question 30

Not yet answered

Marked out of 2.00

განსაზღვრეთ ერთგვაროვანი ელექტროსტატიკური ველის დაძაბულობა, თუ ველის ძალწირების გასწვრივ ორ წერტილს შორის პოტენციალთა სხვაობის სიდიდეა 0.09 ვ. წერტილებს შორის მანძილია 12 სმ (პასუხი ჩაწერეთ ველში, მაგ. 1,234).

Answer:

Question 31

Not yet answered

Marked out of 2.00

ბრტყელი კონდენსატორის ფირფიტებს შორის მანძილი შევამცირეთ 3-ჯერ, ხოლო კონდენსატორის ფირფიტების ფართობი გავზარდეთ 11-ჯერ, რის შედეგადაც კონდენსატორის ტევადობა გაიზარდა n -ჯერ. განსაზღვრეთ n -ის მნიშვნელობა და ჩაწერეთ ველში (მაგ.1.234).

Answer:

Question 32

Not yet answered

Marked out of 2.00

იპოვეთ ძაბვის ვარდნა წრედის ერთგვაროვან უბანზე $R=48$ ომის ტოლ წინაღობაზე, თუ მასში გადის 9 ამპერი დენის ძალა. (ველში ჩაწერეთ მხოლოდ რიცხვი მეასედის სიზუსტით, მაგ:1.23)

Answer:

Question 33

Not yet answered

Marked out of 2.00

ρ ხვედრითი წინაღობის მქონე გამტარის სიგრძე l გაიზარდა 5-ჯერ, ხოლო განიკვეთის ფართობი S შემცირდა 13-ჯერ. რამდენჯერ გაიზარდა გამტარის წინაღობა? (ველში ჩაწერეთ მხოლოდ რიცხვი მაგ: 1.234)

Answer:



